

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ შემოქმედის
მაჟორიტარი დეპუტატის თამაზ ბურჭულაძის მიერ 2017 წლის 27
ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული
საქმიანობის შესახებ**

ანგარიში

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი სოფელ შემოქმედის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში.1). აგრარულ საკითხთა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების და 2). სამანდატო საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის ~~შეფასების~~ ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში სულ 16-ჯერ, კომისიის სხდომებში სულ 47-ჯერ .

დავესწარი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თერთმეტ სხდომას. სადაც განვიხილავდით ფრაქციაში შემოსულ კორესპონდენციებს.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 5 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 35 -ი. სადაც შევხდი 60 მოქალაქეს. მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა: სოფლისთვის შიდა გზების მოწესრიგებას, სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების შეცვლას, სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალურ პრობლემას, სოფლის ცენტრის მოწესრიგებას, გარე განათების მოგვარებას, უბნებში ნაგვის ურნების დამატებას

და სხვა. აღნიშნული საკითხებიდან უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილდა, ნაწილი საკითხები გათვალისწინებულია 2019 წლის ბიუჯეტში.

2018 წელს განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები: 8 ოჯახს გადაეცა თუნუქის სახურავი, სამშენებლო მასალებით დახმარება გაეწია 5 ოჯახს. სოფელში მოიხრემა შიდა საავტომობილო გზები. და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

რაც შეეხება სოციალური პროგრამებიდან ერთჯერადი ფულადი, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და საგარანტიო წერილებით დახმარება გაეწია სულ 60 ადამიანს.

ქუთაისიდან მოწვეული იქნა ექიმთა ჯგუფი რომლებმაც სოფლის 142 მაცხოვრებელს ჩაუტარეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები.

2019 წელს დაიწყო სოფლის პროექტები (140000 ასორმოცი ათასაი ლარი) რომელითაც გადაწყდება ბევრი კარგი საქმეები სოფლის მოსახლეობასთან შეთანხმებით.

აგრეთვე 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები სოფლისთვის სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

როგორც ,საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ სამართლებრივ აქტების მიღება დამტკიცებაში. კერძოდ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა დამტკიცებაში.
- კურორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის შემოღების შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

აგრეთვე,საკრებულოს სხვადასხვა მიღებულგ განკარგულება /დადგენილებებში რომელიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს, კომისებსა და ფრაქციის სხდომებზე დასწრებით.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს დაბისათვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს.

საკრებულოს წევრი

სოფელ შემოქმედის

მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ბურჭულაძე

25.02.2019წელი